



1910 სათეატრო სალიტერ, კვირეული ჟურნალი № 9

1910 წ. ფანი 10 კაპიკი 26 თებერვალი



კოტე მესხი



ბ ე ნ ე ფ ი ს ე ბ ი :
 კოტე მესხის 26 თებერვალს
 1. ხალხის სიკეთე
 2. სიკვიდილი ნაპოლეონისა
 (ამ ნომერშია დაბეჭდილი)
 ნ. გვარამის ბ. ივანიძის 27 თ.
 დღენი ჩვენი ცხოვრებისა
 უკანასკნელი წარმოდგენა 27 თებ.
 ს ა მ შ ო ბ ლ ო
 დასაწყისი საღამოს 8 საათზე
 რუკის. ვლ. ალ.-მესხიშვილი



თეატრი სსოპრება

1910 სათეატრო სალიცერ, კვირეული ჟურნალი № 9

1910 წ.

შანი 10 კაპიტი

26 თებერვალი

შინარსი: ჩვენზე თუ ვუძველით ჩვენ თავს—მეთაურა; დღე და ღამე, ღექსი ღეტუ მკერულის; შესწავლ ტრაველი, მ. დადვასის; დაქვის უფალი, ნ. ღორთქიფხადის; ამონავენეი, თამა ზუსის; რქმხის სოფლავთხ, ღექსი ფმუკლასის; თუატრის წმინდა მოვალეთხ სოფელში, მერცხლასის; * ღექსი, ამერული ქალის; დრამის მოკლე ისტორია, წარვადის; სიკვდილი წამოღოისის, ზეის, თარგ. გრ. აბაკელასის; * წაწვეტ-წაწვეტო, გიორგი ფოტხოველის; * გ. შისანტის; მეგრული მსპინძლობა, ვ. ურუშისის; * ღექსი, ტ. ი. ტ-ბისის; ჩენი მსახიობი; ქართული თუატრა, Ro-Ben-ის; შეხობელთა სენის; სოთატრა ამებო; უცხოეთის თუატრა, Artemius -ის ღექსი, ი. მკვდილიშველის.

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომრისათვის მომზადებული წერილი „ფრიდრის შობენი“ სურათით—ვერ დაიბეჭდა, შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

თეატრი & სსოპრება

სათეატრო-სალიცერ, კვირეული ჟურნალი

ერთის წლით დამატებიანად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად; ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ადრესი: თიფლის, კონტ. გრუზ. დრამ. ო-ვა. რედ. „Театри да Цховреба“ Йос. Зах. Имедашвили.



ნინო შიოს ასული-ღვითათაშვილი



26 თებერვალი

ჩვენვე თუ ვუშვე-ლით ჩვენს საქმეს. დიდი ხანია განქრახის დრო, როდესაც ზეცა მანანით აჯილდოვებდა ადამის ძეთ: ჩვენს დროში ასეთი რამ აღარაფის სჯერა...

ესეთი რწმენა მით უმეტეს უარსაყოფელია დღეს, ლითონის ბატონობის ხანაში.

ეს ძვალბილში უნდა გაითქვიფონ ჩვენი თეატრის მესვეურებმა და გულში ღრმად ჩაიქლიონ სცენის მუშაკებმა, თუ უნდათ მუდამ სხვათა ხელშემყურებელნი არ იყვნენ...

ნურავის ეწეება იმედი, რომ ქართული თეატრის მუშაკმა დაუმსახურებლად მიიღოს—ირგოს რამე საზოგადოებისაგან!..

თვითონ მსახიობი ისე უნდა მოეპყრას თავის სამსხვერპლოს, იმ ტაძარს, სადაც მსახურობს, რომ საზოგადოების პატივისცემა, ნდობა და თანაგრძნობა დაიმსახუროს... ერთხელ გვითქვამს და კიდევაც ვიმეორებთ, რომ ქართული სცენა უნდა აშორდეს ქველმოქმედებით საზრდოებს... გასულმა სეზონმა ბევრი მწარე გაკვეთილი მოგვცა. წარსულის ყოველი შეტევა უნდა გაითვალისწინონ ახალმა გამგეობამა და თვით მსახიობთაც,—თუ დღეის ამის შემდეგ კიდევ ხელი-ხელ ჩაკიდებით იმუშავენ, —რომ შემდეგში თუ იმდენს ვერ შესძლებენ მომავალ მსახიობთა აღსაზრდელად ფული გაიღონ, თვითონ მაინც არ დაიმშენ...

და რომ იმშვიდნიან, ამაში ბრალი თვითონ მსახიობთვე მიუძღვით, სხვას არავის...

არც ერთ საქმეში არ არის ისე ძლიერ შეუწყნარებელი მუქთახორობა, გაურჯელობა, უმეტადინებობა, უსაქმობა, როგორც თეატრის საქმეში... სწორედ თეატრის საქმეში—მსახიობმა ყოველი წუთი გონების განვითარებას, ცოდნის შეძენას უნდა შესწიროს...

ღრამ. საზოგადოების კრებაზე ერთმა სთქვა: ჩვენი თეატრის ფეხზე დაყენებას მსხვერპლი უნდა შევწიროთო და ამ სიტყვებით ნივთიერი მხარე იგულისხმა: ჩვენ ამ სიტყვებს მეორე მხარეს დავუმატებთ: დიად, მსხვერპლი უნდა შევწიროთ, მაგრამ იმდენად ნივთიერი არა, —ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიგმოს და განიწმინდოს ჩვენს თეატრში დაგუბებული შშორი, გაიწმინდოს იმ ელემენტებისაგან, რომელთაც

ხელოვნების ტაძარი პირად გამოსარჩენ წყაროდ დაუსახავთ...

ახალმა გამგეობამ ამ თავითვე უნდა გამოიჩინოს მოქალაქეობრივი გამბედაობა, დაადგეს მტკიცე გზას და გვერდი აუქციოს რყევას, შტეჩემობას, ჰო-არაობას და გასწიოს იმ შიზნი-საკენ, რომლისაკენაც საზოგადოდ ხელოვნებისა და კერძოდ ჩვენის თეატრის განხლეობის იდეა მოუწოდებს... დაე, თუნდა ამას მსხვერპლად შესწიროს ზოგიერთ „დედაბოძათა“ ეგოიზმი, პირადი თავმოყვარეობა, კერძო ინტერესი... დიად, ამ გზით თუ ვუშველით ჩვენს საქმეს!..

ღლე და ღამე

ჰო, მიყვარს ღლე, მზის სხივებით გაბარწყინებული, გარს ცხოვრება რომ ბოობქრობს, აღელვებული; ამოძრავებს, ამოქმედებს ყოველს სულიერს: დიდს და მცირეს, კაცს და პირუტყვს, სუსტსა და ძლიერს.

* * * მაგრამ უფრო მიყვარს ღამე, მშვიდი და წყნარი, ციდან კრძალით რომ დაგვექპერის მთვარე, ნარნარი, და გარეშემო მდუმარება გააფეხვულა, თითქო ქვეყნად თვით სიკვდილი დამკვიდრებული!

* * * ღლე ყამია სიცხლისა, მარად მღელვარის, უძლურისა ცვალებადის და წარმაჯადის, და ღამე-კი სიკვდილისა, უცვალებელის, საუკუნის, გარდუვალის, ყოვლის მძღვევლის!

* * * მეც, ცოცხალსა, ცოცხალი მზე თუ კვლავ მაღელვებს, საარსებო ბრძოლისათვის მიწვევს, მაზნევევს, მომაკვდავი, მკვდარ მთვარისა მზერით რომ ვტკებუი, დამშვიდებითი ველი იმ წაშს, როს თვით მოგვეკვდები!..

ლიქიძე

შესწყდა ტრაგედია!

(გ. თ. კომისარხევისკაიას ხსოვნას)

ვაჭრა სიცოცხლე.

მემოქმედების ცეცხლით აღზნებული, მშვენიერი, მაგრამ კლევიაძეებით და ღრმა ექვებით დატანჯული სული უმწოდ დაძვრის და ეძებს თავის საყუდელს.

ამოა, ამოა!

ის აღარ არის,—სიკვდილმა შთანთქა, ხელოვნებას ქეშმარიტი ქურუმი გამოჰკლიჯა უმოწყალოდ...

ამბობენ, სიკვდილიც ისევე მშვენიერია, როგორც სიცოცხლეო.

ვინ იცის?!

მაგრამ, არა! მისი სიკვდილი ძნელი იყო, შეუსაბამო, წარმოდგენელი: ყვავილის ჩირქი სდიოდა და კანსა ჰკვლევდა...

შემადრწუნებელი სიკვდილია.

ჩემმა, უსიტყუო მწუხარებამ დაჰკოდა გული. გაშრა ცრემლები.

ის აღარ არის, აღარ არის!...

მოვა სხვა, ახალი მსახიობი, ახალი ნიქი; მაგრამ ის აღარ მოვა; ვაჭრა, თან ჩაიტანა თავისი მემოქმედება, აღარაფერი დარჩება მისგან, გარდა მოგონებისა, რომელიც დროგამოშვებით გაიხეცებს ჩვენს შეგზნელ ღამეში...

მსახიობი არ არის მწერალი ან მხატვარი, რომელიცაღ ძალუძთ დაუტოვონ შთამომავლობას თავისი ნაწარმოები; მსახიობი არც მექანდაკეა, რომელიც ოსტატური ხელით ჩამოქნის და სულს შთაბერავს მარმარილოს,—მოკვდება იმ ღრმა რწმენით, რომ მან საშვილის-შვილოდ განძი დასტოვა...

აბა, მსახიობი არც ერთს წააგავს, არცა მეორეს და არც მესამეს.

მან შექმნა თავისი და ბეატრისა, ამაყი ნორა, გულზეიდა ივდითი, მაგრამ არაფერი დავიკოვა აქ, თავისი ქმნილი თანვე ჩაიტანა შავ სამარეში.

მთელი სიცოცხლე მოუსვენრად დაძვროდა, ახალ გზას ეძიებდა, ჰქმნიდა, ასულდგმულედა თავის გმირებს, იტაცებდა მაყურებელს და ჩვენთვის უცხო, მშვენიერი ხელოვნებისაკენ გვითითებდა იგი.

გრძნობდა კი, რომ ყოველივე ეს მარტოდენ მისით საზრდოობდა, მისით იყო ცოცხალი?!

გრძნობდა კი, რომ მისი სიკვდილი მოგონებათა სამყაროში გადააფრენდა მის მემოქმედებას?!

ოჰ, კარგად გრძნობდა!.. მშვენიერად იცოდა!..

აქ არის მსახიობის ტრაგედია!..

„ჩემს შოწოდებას რომ ვუფიქრდები, ცხოვრება ვერა მაშინებს“,—ავტოგრაფი ვ. თ. კომისარხევისკაიასი.

ანტონ ჩეხოვი! რა რიგ ეთანხმება მწერლის სიტყვები მსახიობის ცხოვრებას!..

მას წილადა ხედა მუდმივი ექვი, კლევიაძეება, სიხარული და მარცხით გამოწვეული სევდა-კაემანი.

მისი ცხოვრება განუწყვეტელი ტრაგედია იყო, მაგრამ აქ,—სწორედ აქა ჰპოვებდა იგი ბედნიერებას და სიხარულს...

მაშ რისა უნდა ჰმინებოდა მის ფაქიზს, ჩვილს,—მეტად ჩვილს არსებას?

მისი მოწოდება ხომ ცხოვრება იყო,—ცხოვრება, ხელოვნების სხივით გაბრწყინებული?

მაგრამ უეტრად სენმა შეიპყრო, დაამხინჯა, მოჰკლიჯა თავის საყვარელს კერას, გონება გაუცივა, გული შეუხუთა ამ მუღამ ცხოველ არსებას!

დადუმდა ენა, ფრთა შეეკვეცა მკვირცხლოცნებას, შესწყდა მზურგალე გულის ცემა!

და მსახიობის სათუთი ტრაგედიაც შესწყდა!...



*
*
*

ბაღს ვარდი აქვს, ცას—ვარსკვლავი, მთელ ქვეყანას—გაზაფხული!

მე კი ჰაბუჯ მოტრფიალეს—ტკბილ მტანჯავი სიყვარული.

მე მისი ვარი, იგი ჩემი, არ გვიძს ყოფნა ჩვენ ცალ-ცალად,

უშისობა დამაღონებს, ტკბილს შემასმევს შხამ-სამსალოდ...

ი. მ. მ. მ.



დაქვნა ყვაილი...

დაქვნა ყვაილი. გამზმარიყო მიინც!

ბულბული ზარს იტყოდა, ერთსამოიკენე-სებდა, ერთს შეკრთებოდა ბალი, ბუჩქის შტო იტირებდა, და მოწყვეტილი ყვაილი დაღბო-ბამდისაც-ი ყველას მიავიწყდებოდა.

ცა ისევ ცვარს დააყრიდა ადგილსა იმას, შზე სხივებით შეებებოდა ბუჩქს—და ბუნება შექმნიდა სხვა ყვაილს, ცოცხალს და ლამაზს.

დაქვნა ყვაილი. ჩამოკეცილი ფოთლები კიდევ ავრცელებს სურნელეზას და გულსა ზედება ისრებდა, ბულბული კენესის განუწყვეტლოვ, სტირის ბალი, თრთის მწუხარებით შტო სულთა ბრძოლის მაცურებელი... ბუჩქი ავად არის... შზე გზავნის სხივებს, მაგრამ ვერ აცოცხლებს მიმქნარ ყვაილს, ცვარი ვერ აღბობს, მიწა ვერ ჰკვებავს.

დაქვნა ყვაილი. გამზმარიყო მიინც!

გამზმარ-გაცამტვერებულ ყვაილის ძირზე ახალი ცხოვრება გამეფდებოდა.

5. ლორთქიფანიძე

ამონაკენესი

ხუთი გრძნობა მაქვს, ყველა თან დამაქვს: ვხედვ თვალით... მითხარით, რისთვის მჭირია?—მუდამ ცრემლები, მუდამ ვტირია!

ვისმენ ყურებით... დამემდღურებით, განა, რო გითხრათ—სჯობს არ შესმოდეს!—უნდა კენესოდეს საბრალო გული, ამდენ ვაებით მა-რად ჩაერული!

მაქვს ყნოსვის გრძნობა... რათ არ იშობა, ოდესაც ვყნოსავ ამდენს სიღამზღეს! საბრალო გული, შეწუხებული ელის სიღამზღეს!

მაქვს გემოვნება... სულ ვნება, ვნება! ვგრძნობ სიმწარესა, გულ-მწუხარესა არც ერთ-ხელ სიტკობა, არც ერთხელ სიზობ. მუდამ მას ვჩივი, ამას გავცივი!

მეხუთე გრძნობა, — გრძნობა შეხების... რას შეებების ჩემი არსება, რო მუდამ ვნება არა მოჰქონდეს!.. სჯობს, სულ არ მქონდეს! ბრამასა თვალებით, ყრუსა ყურებით, ყნოსვა შეღაბულს, გემო გღამძღულს და შეხების გრძნობა დაკარგულს—ეგ ხუთი გრძნო-

ბა, მითხარით—ნეტარ რათ დამებოდა, რისთვის მჭირია?—ყოველი ჩემთვის ავი-ჭირია!

ყველა ესენი შესწენიან გულს, გრძნობათ საღაროს,—რომ ივალალოს?!..

როს შემოცმებებ მე „ვარზალალოს?!..“
თომა პუსა

ჩემენის საფლავთან...

Злой рок! лишил меня всего и чести, и свободы!..

A. Полежаев

სოფლის-შვე ბედით შეძრწუნებული, შვის უფსკრულისკენ მიჰჭრის გონება: იკენესის გული, ლახვარ-სობლი, მღელვარე სული ზარს ეკონება!.. აზვირთებული გრძნობა მკერდს არხევს, მიწყებება ძარღვი მაცოცხლებელი; ჩემს ჩამკვდარს რწმენას მწარედ ღღაღდებს, სულთქმის დულილი ცრემლებით სველი:

„კიცხულ-დენილი ადამის შვილი

ბედმა გამპრია... დამგმო სოფელმა,

შეგინებული,

ჩირქმაცხებული,

გამწირა სატრფომ, გულის მფლობელი...
ცილ-დაწამბულს,

ტანჯულ-წამბულს

დუშმის არღილი თავს დამხარხარებს,

და დაობლებულს,

სულს გაქსულებულს,

ზრახვა მიტრგუნავს იმედის კარებს!“

ღღაღდებს მწარედ სულთქმა მღელვარე,

და სოფლის მწირი,

სვით განაწირი,

რწმენის საფლავთან ესტირი მწუხარე!..

3. ფშაველა

თეატრის წმინდა მოყვარეობა სოფელში

ჩუქია გლეხი ყოველმხრავ უჩუკეშო მღვამ-რეთამა: მისი უთფნა ასეთა უჩუკეშო და სიმწუ-ხარა არ იქნესოდა, რომ მას ცოტად მაინც ჰქო-ნიდა განუთარეყოფდა თავისი ცხოვრება. თუ დრამა ჩაუკუკარდათ, ქართული გლეხი ასევე აღამანის ბაჭურ ხნას მღვამრეთამა იმეფებდა, ავა და კარგი ვერ გაუჩუკავდა ერთმანეთსაცან. ზოგერთე-ბის ჩხავალმა ვაჩუკეშო სომ ყურთა სქნა წაადო. მართადაც „სქართიკელა იუადეკა“, მკრამ ყუიკა-

ბი ზღაგუტისის არის: ამიერო, აუღუღარა, კაბტოი და სხვანი.

აუბლონი ტერენციუსი (მეტ სსხლად „აუ-რადელი“) 185—159 წ. ქ. წ.-დრამატურგ-ეო-მიო, როგორც გაღმტრემს ამბოს, კართოდან (აფრკადნი) იყო მოუკხილი ტრეეღ. ახლგახრდო-ბამიკე გახდა მონს რამიკლ სუნტორის ტერენციუს ლუკანისის; უკანსენელმს გამიბინა დამანობა, ახლ-გახრდა მონს მისცა აღზრდა-განათლება, ბოლოს განთავსოვდა კადეც მონბისკან. ტერენციუსი სუვარელი ზოტეი იყო თავის დროის არისტორა-ტიას და მეგობარ ზოტეურთ ძლიერ რამაულებო-ს, როგორც იყო მაგალითად, უმტროსი სცაბობნი აფრკადნი. ტერენციუსი გარდაიცვალა სპორსიუსო შოკაურობის დროს. მან დავატრევა ქეკსი კომე-და. მთ შორის: ანდრა, ენუსუს, ფორსიო და სხვანი.

ზღაგუტისისგან იმით განსხვავება, რომ ტერენციუსის სოუტეი უფრო ხელოვნურად აქვს შე-მოუშეებული, სისათობი მოქმედ ზირთა უფრო მკაფიო და გარკვეული და სუტსოფო ფორმა; სმა-ეოურად ზღაგუტისსე გაცილებით ნაკლებ ძლიერა და ნაკლებ ენა-მხილი, მის ენაში ისე ცოცხლად არის შესხული გაღმტრემული თანმედროვე მაღალ სხოგადობის სლავარეო კილო, რომ ზოგორთ-ნი მისი მოქმედამდეკენი ამტკანებდენ, ვითომ მისი მთარეუღნი მაღალ სხოგადობის წვერნი შეუ-ლოდენო წერაში. იმან ზიუსეს ტატნებით კითხუ-ლობდენ არამც თუ ძეუღად, არამედ სსუფლ-სუ-უურობეშიანც. აგრედვე სშირად იქედან იღებდენ სკრამტეოი მაგალითებს.

ზღაგუტისის და ტერენციუსის კომედიების შინ-არს შეადგენდა ვიწრო ფარვალა თჯახურის ცხოვ-რების, ახლად აშენებული სხვა და სხვა კომედიური მდგომარეობა-გარემოებანი. მოქმედ ზირებად გამო-დანი არა სხოგადო და სსხლმწიფო მიღაუწენი, როგორც ძეკლს ბერძნულს კომედიამა, არამედ სუღ უბრლო კერძი ბერნი. ამთ არა აქვთ სსსხიცი კი-ტეიბის არისტოფანს ზოლიტეკურ დღენივის.

სწორედ ზღაგუტისის და ტერენციუსის კომე-დიები დაედო სმარკვლად შემდეგში ახლს კომე-დასაც; ამთ იქონიეს ძლიან დიდი გუღეის ახლი თატრის შექმნა-განვითარებაში. მაგრამ ახლზე შემ-დეგ, ჰერეკი მიოეისხიბთი მესამე დარს-შესხანიშნავი, დრამატურგ რამაულებიას—სენეკა.

ლუციუს სენეკა—ფილოსოფოსი—დაიბადა დაახლოებით 4 წ. ქ. წ. კორდუბაში—ისპანიაში,

გარდაიცვალა 65 წ. ქ. შემდეგ. რომში შეისწავლა რეტორიკა და ფილოსოფია; იმე. კალიგულას დროს მიიღო სენატორის წოდება. 41 წ. დელოფილის შე-სელისას ჩაგანებით იმპერატორმა კლავდიუსმა გა-ხსიევა კუნხულ კორსიკასე, სიადანც დაბრუნეს 8 წ. შემდეგ და დანიშნეს ზრეტორად; ამასთახვე დე-ლოფელამ აგრბანიმ დანიშნ თავის შვილის ნრო-ნის აღმზრდელად. ნრონი რომ ტანტხედ ავად 54 წ.; სენეკა კარვს განწოთბილებაში იყო მასთან და კეთილს გუღუნსაც ახდენდა ახლგახრდა იმპერ-ატორსე. ნრონმაც თავის მხრივ მაღლობის ნიშ-ნად სსეა წყალბობათ შირის კონსულობა უბობ (57 წ.). მაგრამ მისიმ მოქმედამდეკეთა გააძეერ-ბამ დაარღვია ის კეთილი განწოთბლება, რომელიც სუევედ ნრონის და სენეკას შორის. ფილოსოფოსი იძულებული გახდა განმორბოდა სსსხლესაც და სხოგადო მიღაუწობასაც (62 წ.). ბოლოს დაბო-რადეს შეტქმულობაში შინაწილებო და სსკვდილი მიუსჯეს. თვითონვე გაიხსნა მკლავი (მარღვი გაიჭრა, რომ სისხლისგან დღღალიყო) და ისე მოკვდა ცხელ ვნაში.

ციცერონის შემდეგ რამაუელთა ფილოსოფოსებში შესხნიშავი ფილოსოფოსად ითულება სენეკა. მას გარდა იგი იყო მრავალ-ფერობანი მწერალი. მრავ-ალი ნაწერი აქვს; როგორც ფილოსოფიურთ თე-მებსეად, აგრედვე ფიზიკურს და სბუნებისმეტრეე-ლო სცენებსე.

მან დასწერა სტორა—„აზოკოლოცინტობისა“ (ე. ი. „ზოგორად გააქტევა“—წინააღმდეგ „აზო-თეობისა“, ე. ი. ღმერთად გააქტევის). ეს იყო მწარე დღენივა გარდაცვლილ იმპერატორ კლავდიუსის.

სენეკა ამს გარდა იყო ზოტეი-დრამატურგი. კეზირამების გარდა, მას აუთუფიუნთ ასი ტრეგე-დაის, —ერთად ერთი რომაული ტრეგედიები, რომელ-თაც ჩვენს დრომდის მოუწივითი. აა მთი სხვლები: ფედრა, ტროდა, მედეა, აგამემონი და სხვანი.

როგორც ვხედვთ, თვით სთაურები ტრეგე-დიების გვანსებენ, რომ შინაწნი აღეუღდა ბერ-ძენთა ისტორიადან. ასევე თქმის ფორმის შესხე-ბაც; თუმცე ტეტობა, სენეკა ცდილობდა ფორმით უმჯობესი ტრეგედიები ქერას, ვიდრე ბერძნული იყო.

სენეკას ტრეგედიებმც დიდი გუღეის იქონიეს შემდეგში, მეტრადე ფრანგულ ცრუკლასიკურ მიზრ-თულებიას შექმნის დროს.

Настоящая пьеса, подь заглавиёмъ „Смерть Наполеона“, переводъ Гр. Абакелія, разрышена Намѣстникомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА на Кавказѣ, для представления на сценахъ края (отзываетъ Канцелярія за № 4579,—1910 20 февраля 1910 года, Гор. Тифлисъ.

И. д. Предсѣдателя Комитета В. Колобовъ.
Секретарь Гусевъ.

სიკვდილი ნაპოლეონისა

პიესა I მოქ. 6. ლუხმანოვისა, თარ. გრ. აბაკელიასი.

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

ნაპოლეონი.

ლაზ კახასი, ნაპოლეონის უკანასკნელი მდივანი.

მარშანი, კამერდინერი.

ანტომარტი, ექიმი ფრანგი.

გუდსონ-ლოუ, ინგლისელი, წმ. ელენეს კომენდანტი.

ჯარის კაცი, ფრანგი.

ქ-ნი ბერტრანი.

ნაპოლეონის ოთახი ლონდონუგაში. სიღრმეში სახვედრო რკინის საწოლი, ზედ გლია ნაპოლეონის ლურჯი მოსახამი; მარჯვნივ ბუნწარში ცეცხლი ღვივს; ბუნწარის ზევით ოქროს ჩარჩოვებში კიდია ორი პორტრეტი: მარიამ ლუხმანის და რომის მეფისა. ბუნწარზე საათი და რომის მეფის ბიუსტი. კედელზე კიდია დიდი ვერცხლის საათი. იმავ გვერდზე სავარძელი და მაგიდა, ზედ წიგნები. მარცხნივ კედელზე ვერძობის რუკა, შუაში პატარა რგვალი მაგიდა. კედელთან, სადაც რუკა კიდია, „კუშეტა“ მის გვერდით მაგიდა წიგნებით, სამწერლო იარაღებით და ქაღალდებით. ორი ლამაზი: მალაი, მწვენი აბაჯურით. ორი კარები, ერთი შემოსავალი დერეფანში, სადაც დარაჯობს ჯარის კაცი, მეორე ოთახში შემოსასვლელი. ორი ფანჯარა, საიდანაც მოჩანს ზღვა.

I

ნაპოლეონი, ლაზ კახას, მარშანი

ნაპოლეონი (ზის მაკადასთან) ლაზ კახას, რასა მალავთ?

ლაზ-კახ. არაფერს, ხელმწიფევ!

ნაპ. ლაზ კახას... ამხანაგო... ტყუილი არ იცით... მომეცით წიგნი! ზურგს უკან რად მალავთ?

ლ.-კახ ხელმწიფეო... გვევდრებით, ამ ქუქიან თხზულებას ხელს ნუ მოჰკიდებთ!

ნაპ. (ხელს გაუშვებს) საფრანგეთიდანა, რკინიდან ყველაფერი სასიამოვნოა... თითქმის მწუხარებაც... (გამოთარძეებს) აპ... მალინი, ჩემი დაუძინებელი მტერი—რადგან ელჩად არ დავნიშნე!—ვინ იცის, რეებს არ დასწერდა ჩემზე? შეგიძლიათ გამომართვათ,—ცოცა დრო დამრჩა სასიცოცხლოდ, შეუძლებელია წვრილობებს ყურადღება მივაქციო. წიგნაკი საფრანგეთიდან იყო, ფრანგის დაწერილი. იმიტომ მოგვალე ხელი.

მარშანი თქვენო დიდებულებავ, თავს ხომ ცუდით არ გრძობთ? დავუძახოთ ექიმს?

ნაპ. თითონ მოვა. მარშან, მომიტა ყავა. (დაფუქრდება)

მარ. თქვენო დიდებულებავ, ყავა მზად გახლავთ. გუბერნატორი გუდსონ იყო და თქვენი ამბავი იკითხა...

ნაპ. ჩემი დარაჯი. ოჰ, როგორ აჩქარებს ჩემს სიკვდილს!

ლ.-კახ ხელმწიფეო, რა საჭიროა ასეთი სევდიანი ფიქრები? (ნაბოლოონი უნდასვს ყავას და მსწრაფად თავს მანებებს)

მარ. თქვენო დიდებულებავ, ყავა ცუდია?

ნაპ. არ ვიცი. რაღაც სუნის სდის, ნამდვილი არ უნდა იყოს... კორვიზარი მირჩედა, ყალბი არა მივიღო-რა! მარშან, ფინჯანი ბუნებითი ყავა, ძალას შემმატებდა... იყიდე ნამდვილი... „მარტინელი“! თითონ მოამზადე..

მარ. (მოგრძალებით) ხელმწიფეო... ფული აღარ გვაქვს.

ლ.-კახ (ხელში მისწვდება) სიცრუეა, რას ამბობ?

ნაპ. ნუ მალავთ, მართლს ამბობს. (მარშანს) წაიღეთ, ერთი ვერცხლის ტასტი, გაყიდეთ!... მხოლოდ ოქროს არწივი მოხსენი.

II

ივანივე, ქალბ-ნი ბერტრანი

ბერტრანი (მოვა ნაბოლოონთან, დაიხოქებს და ხელსუად გამოხრება) კარგად გეძინათ ხელმწიფეო, სიტენ არ გაწუხებდათ? გუშინ ისეთი დახურული პაერი იყო.

ნაპ. (ამხვს ხელს უსვამს) ჩემო ძვირფასო ბერტრან, ვიცი ჩემზე ზრუნავ! ბავშვები რას შერებინან? (ბერტრანი ფეხით მიუჯდება)



ბერ. ბავშვები — ყველგან ბავშვებია! არ ვიცი ისეთი ადგილი, ისეთი ჰავა, ისეთი მღვებარეობა, სადაც ისანი მზიარული და ბედნიერი არ იყვენ.

ნაპ. როგორ არის პაწაწინა ფრანგი, გუდსონ ლოუს ნება-დაურთველად კუნძულზე რომ იშვა!

ბერ. ჩემი პაწაწინა ნაპოლეონი? ცოცხალია, ჯანმრთელი, სწავლობს სახელს თვისი დიდებული მფარველისას და დასაწყისს „ნა“-ს ლაპარაკობს კიდევ.

ნაპ. სანამ შეისწავლიდეს „პო“-„ლე“-„ო“-„ის თქმას, ცოცხალი აღარ ვიქნები, ჩემო საბრალო ბერტრან!

ბერ. ხელმოწიფეო, ნუ ამბობ ასეთს საშინელს სიტყვებს! ნება მოგვეცი, ჩვენ, ვინც თქვენ გახვევიათ, გვიყვარდეთ, გვილიდეთ, გართობდეთ, დეე, განულოს ხანმა და ტყილად გინანინაოს, სანამ არ მოვა უქანასკნელი წამი... (დაუკეპა მუხლებზე და წინადად იტყვის) წამი განთავისუფლებსა.

ნაპ. ესე იგი სიკვდილისა!

ბერ. კიდევ ხელმოწიფეო! ვერც ტყვიებმა, ვერც ეგვიპტის სიციხე-პაპანაქებამ ვერც თოვლიან რუსეთმა ვერ დაგძლია და სიკვდილი არ გეწვია... ნუ თუ შეგზვდება იგი აქა, ჩვენს მყუდრო ბინაზე, ოქვენს ერთგულსა და სანდო მეგობართ შორის? არა, ხელმოწიფეო, მე სულ სხვა განთავისუფლებას მოველი, მოველი სასწაულს.

ნაპ. სასწაულს! ღიახ, სასწაულს მეც მოველი... თითქოს სიზმარი... მე მოველი, საშინელი ტალღები, რომელიც გარს გვარტყია, გაირღვევიან, როგორც მეწამული ზღვა ებრაელების ლტოლვის დროს და, გუდსონ ლოუს შეუქმნველად, მივალწევთ იქ, სადაც აუგე მიგველიან. მე მგჩვენება... კუნძულზე გამოჩნდება ჰაერში მცურავი ნავი, და გაფრინდებით საყვარელ სამშობლოსაკენ... მე მოველი, წმ. ელენეს კლდეები გაირღვევიან, იქიდან გამოვა რაში. ზურგს მოვევლები და უვნებლად მიმაქროლებს ძვირფასს საფრანგეთს! სიზმრები! სიზმრები!..

ბერ. არა, არა! ჩვენ ჩავსდებით გემში და უკან გამოგყვებით, ხელმოწიფეო!

ნაპ. მაგრე, ჩემო კარგო, კეთილო ბერტრან, თქვენ ყოველთვის მამზიარულვებთ, იმედს მინერგავთ გულში! ღენერალი ბერტრან! ახლა სად არის?

ბერ. ჩემი ქმარი თქვენს ცხენს უფლის, ხელმოწიფეო! ასე ამბობს, თქვენ დიდხანს არ გიშვავებიათ და ცხენიც დაოჩნდებო! (კულასეში მთავისს ეყარაღა)

გუდსონის ხმა: ფრენი დოგ!

ჯარის კაცის ხმა თვითონ. შენა ხარ ინგლისის ძალი!

ნაპ. გუდსონ ლოუს და ჩემი ძველი გვარდიელი სანტინი ჩხუბობს. (შარშნა კარკისას გაჩნდება)

გუდ. (კულასეში) უნდა შევიდეთ...

მთორე ხმა ... არ შეიძლება!

ნაპ. (შარშნის დადღადა კაღათია) შემოუწვი! (ბერტრანს) ძვირფისო ბერტრან, წადი ბაღში, ცოტა ხნის შემდეგ შეგიძლია მოხვიდე. (ბერტრანი ნაპოლეონის ხელზე ჰკაცნის)

ბერ. ხომ დამშვიდებული იქნებით?

ნაპ. ვეცდები, წადი, ჩემო ბავშო.

III

იაკობ, გუდსონ ლოუს

ნაპ. (ხელის ნაშთი კარკისა გაჩერებს გუდსონს) კარებში გაჩერდით, აქ მხოლოდ მეგობრებს შეუძლიათ შემოსვლა! რა გნებაეთ?

გუდ. ღენერალო ბონაპარტეც...

ნაპ. მე ღენერალი ბონაპარტე ვარ მხოლოდ ჩემი გულადი საფრანგეთის ჯარებისათვის. თქვენთვის და მთელი ქვეყნისათვის-კი მე ვარ იმპერატორი ნაპოლეონი. რა გნებაეთ?

გუდ. მე მივიღე ბრძანება...

ნაპ. ისინი, ვინც თქვენ ბრძანება მოგცათ, გაქებთან ადამიანთა ხსოვნაში და ნაპოლეონის სახელი-კი, სანამ ვარსკვლავნი ზეცაში ბრწყინავენ, კაცთა გულის სიღრმიდან არ ამოიფხვრება! რა გნებაეთ, მოკლედ! ავად ვარ!

გუდ. ვთხოვლობ, თქვენი გვარდიელი კარლ სანტინი დაითხოვოთ...

ნაპ. რა დააშავა?

გუდ. ინგლისელმა ჯარის კაცმა ბაღში ხე მოსჭრა და სანტინმა ამისათვის სილა გაართვა.

ლაზ-კაზ. მაშ რად სჭრიდა ხეს, აქ ისედაც ცოტა ჩრდილია.

ნაბ. ჩემო საბრალო ლაზ კაზას, თქვენი-
დევ ეკითხებით რისთვის? იმიტომ, რომ იმ ხის ძირ-
ში ჯოჯოხეთურ სიციხისაგან მოქანცული იმპე-
რატორი ნაპოლეონი ისვენებდა.

გუდ. ეგ არ ვიცოდი...

ნაბ. არ იცოდით? თქვენ? განა ათასჯერ
მეტად არ გინახებოდა იქა! ის ხე სამშობლო
საფრანგეთის კოპიტის ხეს მაგონებდა!! (გუდ-
სთან უნდა რაღაც სთქვას, ნაპოლეონი სწელით
შეაჩერებს) ემარა! რას უბირობთ სანტინს?

გუდ. საფრანგეთში ვაგზავნიან.

ნაბ. საფრანგეთში? თუ ავრება, დიდს
სიამოვნებით მოგცემთ, მაგრამ სანამ გავმგზავ-
რებოდეს, უნდა ვნახო.

გუდ. ეგ შეუძლებელია.

ნაბ. შეუძლებელია? (გუდზე ხელს წაყოფის)
შეუძლებელია?! ახლავ აქედან გაეთრიეთ!
(ძლიერა ბნება მოყოფას)

IV

ივანაიე, გარდა გუდსონისა, და ექიმი

ლაზ-კაზ. ექიმო! ექიმო, ჩქარა, იმპერა-
ტორს გული შეეწუხდა.

ანტომარკი. (მოვარდება ნაპოლეონთან) ხელ-
მწიფეო! ხელმწიფეო! (მსწრაფად ზატარა ჭაქა-
ში „კაზლეუს“ ჩასსამს და ნაპოლეონს ტუჩებთან
მოუტანს)

ნაბ. ანტომარკი, გმადლობთ, მალე ყველას
გაგანთავისუფლებთ შეწუხებისაგან.

ანტ. კარგი ამბავი მოგიტანეთ, გამხნე-
დით ხელმწიფეო, ჯერ კიდევ დიდებული დღე-
ები მოგელით.. თუ...

ნაბ. თუ?

ანტ. (ჩუმად) თუ კვლავ საფრანგეთის ჰაე-
რით სუნთქვას ეღირსეთ!

ნაბ. ოჰ, ანტომარკი, რა ბედნიერება!

ანტ. ხელმწიფეო, უბრძანეთ შემოღებულ
დარაჯი—ინგლისელი ჯარის კაცი.

ნაბ. ინგლისელი ჯარის კაცი?

ლაზ-კაზ. ხელმწიფეო, დაუჯერეთ ექიმს.
მე არაფერი ვიცი, მაგრამ ვგრძნობ-კი, რალაც
კარგი რამ უნდა იყოს.

ნაბ. მარშან, უბრძანე, მოვიდეს!

მარ. (კარებს შეაკვს) იმპერატორი თხოუ-
ლობს ინგლისელ დარაჯს.. (ხემა კულისებში,
რომელუბაც ნაპოლეონის ბრძანებს ამოვარებს: „ინგლ-
ისელა... ინგლისელი.. ინგლისელი..“)

V

ივანაიე, ინგლისელი დარაჯი

(დადი ზაუხას შემდეგ შემოდის თოფით და
ნაპოლეონის წინაშე გაჩერდება. ეველანი მას მისწე-
რუბთან)

ნაბ. რას იტყვი?

ჯარის კაცი (გადასდგამს საბაჯს წინ) ტულო-
ნი და თავისუფლება!

ნაბ. ოჰ, ღმერთო! რა სთქვი?

ჯ.-კაცი ჩემი დედა ინგლისელი აყო, მამა
ფრანგი, ჩემი სამშობლოა საფრანგეთი და ჩემი
ერთადერთი იმპერატორი—ნაპოლეონი.

ნაბ. გმადლობ, გმადლობ... გმადლობ! ასეთი
სიტყვების ვაგონება სასიამოვნოა.

ლაზ-კაზ. ფრანგო, მომეცი თქვენი ხელი!

ნაბ. აქ როგორ მოხვედო?

ჯ.-კაცი მე ვიბრძოდი ჩემის იმპერატორის
დროშის ქვეშ! როდესაც თქვენ შეგვიპყრეს და
აქეთვე გემით წამოგიყვანა დაგიბირეს, მოვ-
ხერხე და იმ გემზე მებღავურად მიმიდეს, ინ-



ვლ. ალ.-მესხიშვილი ჰუმდეტის როლში



გლისური სამშობლო ენასავით ვიცი. თქვენი მტარავალი ადვილად მოსტყუებდნ დაახლო მე ვარ დარაჯი ჩემი იმპერატორისა!..

ნაპ. რად ცდილობდი ამას? რა გინდა ამითი სიტყვა?

ჯ.-კაცი ხელმწიფეო, კუნძულზე სეირნობის დროს არ შეგიძინევით ჰორიზონტზე გემის სილუეტი. მისი იალქნები შორიდან უზარმაზარ ფრინველის გაშლილ ფრთებად არ გჩვენებიათ, რომელიც მზად არის ვასაფრენად.

ნაპ. როგორ არა, ყოველ დღე ვხედავ! მაოცებს!.. ადვილიდან რატომ არ იძვრის! ვის ელოდება?

ჯ.-კაცი თქვენ, ხელმწიფეო!

ნაპ. მე? მე? (შეაჯღ) მაგრამ.. სადა-მაქვს ფრთები? როგორ გადავფრინდებ?

ჯ.-კაცი კუნძულის დასავლეთით დამალულია ნავი! ნუ თუ სეირნობის დროს არ შეგიძინევით, ხელმწიფეო, რაედენიმე კაცი, რომელთაც უღარდებოდა სძინავთ?

ნაპ. ჰო, მეთევზენი.. მეთევზენი!

ჯ.-კაცი თქვენი ერთგულნი! ჩასხდებით იმ ნავში.. საათის განმავლობაში გემთან მისტურავთ!

ნაპ. მაგრამ ყოველ სეირნობის დროს თან დამდევს ინგლისელი დარაჯი.

ჯ.-კაცი ახლა ეს დარაჯი მე ვიქნები..

ლაზ-კაზ. თქვენო დიდებულება, გესმით?

მარ. ოჰ, ღმერთო! საფრანგეთს შეუძლია თავისი იმპერატორი კვლავ იხილოს.

ანტ. ხელმწიფეო, გამხნველით! თამამად შეხედეთ მომავალს; ის თქვენ ბერს დიდებულ წუთებს გიმზადებთ.

ნაპ. როდის შეგიძლია ჩაესხედეთ ნავში?

ჯ.-კაცი როდესაც თქვენი დიდებულება ბრძანებს: მე ასე მნებავს!

ნაპ. (წამოგება, მას ესმარება) ეს სიზმარი არ არის?... ნუ თუ კვლავ ვიხილავ საფრანგეთს? ჩემს შვილს.. ჩემს ძველ გვარდას? ჩემს ღმერთს? ოჰ, ვგრძნობ: შესდგამ თუ არა ფეხს საფრანგეთში, ჩემი სახელი, როგორც სამხედრო ძახილი, მოედება თელს საფრანგეთს, და ყველას ფეხზე წამოაყენებს. კვლავ გაუძღვები ჩემს ჯარებს დიდებისაკენ, სახელისაკენ.

ლაზ-კაზ. ხელმწიფეო! როგორი ცეცხლი ღვივის თქვენს თვალებში! როგორი ძალა გამოიხატება თქვენს ხმაში.

ანტ. ხელმწიფეო, ის რწმენა, რომ კვლავ იხსილებთ საფრანგეთს, თქვენ გამხნვებთ.

ჯ.-კაცი თქვენო დიდებულება, დანიშნეთ დღე და საათი, მე იმით შევატყობინებ!

ნაპ. ამაღამ!.. ამაღამ! აღარ შემიძლიან მოცდა! საფრანგეთისაკენ... ჩემ საყვარელ საფრანგეთისაკენ!.. წინ.. წინ! (გული უწუხდება) ჰაერზე... (მოაუყანენ ფანჯარას წინ. კუჭეტაზე ჩამოწევა... ეხედება ფანჯარაში... ექიმა სუსხოსუსს ასუსიანებს. დიდი ხნის ზაუსა) ველარ... ვიხილავ... ჩემ საფრანგეთს! თავდება... თავდება ყოველივე... ჯარის კაცო, აქ მო ჩემთან... (ხელს გაუწვდას) მოიტა ხელი, გმადლობ! წადი... შევატყობინე... გემი დაბრუნდეს უჩემოდ, უჩემოდ!

ჯ.-კაცი ხელმწიფეო..

ნაპ. უჩემოდ! ჩემი სიცოცხლის წამები დათვლილი!

ანტ. ოჰ, აბა ხელმწიფეო... თქვენ კიდევ ნახავთ საფრანგეთს! (შემოდას ქაღ. ბურტანა) თქვენი ავადმყოფობა...

VI

აგაფი, ბერტრანი

ნაპ. სასიკვდილოა... წადი... წადი, ჩემო ერთგულო... აცნობე: იმპერატორი რჩება ტირიფებს ქვეშ... ტირიფებს ქვეშ... ინგლისელების ტყვეობაში სულს ვლევ!

ჯ.-კაცი ხელმწიფეო! (თვალ-ცრემლიანა მიდას)

ბერ. ჩემო ღმერთო!

ნაპ. კიდევ მოხვედი, ჩემო კარგო?! ხედავ... ხედავ... ჩემს საფრანგეთს... ველარ! ველარ ვიხილავ... ოჰ, ჩემო შვილო, რომის მეფე... ჩემო პაწა არწივო! იცი მე ვგრძნობ.. თან და თან ვმზატდები... თითქოს, თითქოს სიმძიმე მშორდება სხეულისაკენ!

ბერ. არა, არა... ხელმწიფეო... ჩვენ კიდევ ვნახავთ საფრანგეთს.. ხედავ, იალქნები აშეზულია... წადი... იმპერია მიკვლოდება.

ლაზ-კაზ. შენზე მლოცავი ხალხი მიგვლის!

ანტ. ვე დროებითი სისუსტეა... იმპერატორი ნაპოლეონი კიდევ მიაფრენს მტერზე თავის არწივებს!

ნაპ. (თათქოს მართლაც ძაღს გრძნობს) როგორ, მაშ... მე... მე... კიდევ შემიძლიან? (ად-



გება, როგორც კარგად შეოფი) მაშ შევეჩხაღნდეთ ჩქარა ლაზ კახას... რუსტან, ცხენი! ჩემი ძველი გვერდია!. პირდაპირ იერიშითა... აღმართით დროშა... ლეფვერ... უღინო, ნი... იენა, აუსტერლიც, ვატერლოო (აბარეის დაქმნას. ლაზ კახას, მარშანი და ასრთმარეი წააღებებს ხელს და დასვენებენ "კუშუტკასზე")

ანტ. მოწყალეო ღმერთო... გათავდა... გათავდა... საფრანგეთის მზე ჩაესვენა! (ქვითა-ნებს.. მუხსზე დაწოქილი "კუშუტკის" წინ)

ველია როგორ? **ლაზ-კაზ.** ჩემო იმპერატრო! ჩემო მფარველო! (ქვითა-ნებს)

ბერტ. მოკვდა... მოკვდა... ჩანთქა უფს-კრულმა დიდება საფრანგეთისა... (მიადის ქუითა-ნებით შუა მკვადანსა, დაქემს სავარძელზე)

მარ. (მხურავს დიდს შუას ზღუდს, დაქემს მუხლებზე, ხელის გულზე უსწორებს... აკონებს და უსიტეოდ ქვითა-ნებს. დიდი ზაუხს. ლაზ-კახას ადგება ნელა და მიადის გაღებს კარებს.)

ლაზ-კაზ. (ხმა-მადლს ტირიდას სხით) იმე... რა... ტარი... მიი... ცვალო!! (კულდისიდან რამდენჯერმე განამორებენ ამსუე. ლაზ-კახას ამოადებს ხმას... იმპერატორის თავის დადგება დარაჯად. მოსამის ბარანანის ხმა სმეკრ ზაუხებით. ზირეული ბარანანის შემდეგ შემოვა ინგლისელი ჯარისკაცი და კაბიტანი დარაჯად დგება. მერე სმეკრთვართო მარში. ფარდას დაშვების დროს შემდეგია სურათი: შუა მკვადზე ბერტრანი ღრულებზე თავდასუბულია და ნელა სტრის. ასრთმარეი და მარშანი იქით-ქედ კუშუტკასზე დამსობდა. კუშუტკა ფეხით მპურებადასაკენ დგას. ლაზ-კახას ხმაღ ამოდებული უძრავად დგას ნაზოლეონის თავთან. მუსიკა გაშუღებული უძრავს) **გრ. აბაკელია.**

ფ ა რ დ ა ნელ ნელა დაქემება.

ცოცხალი სურათი: მუსიკა განგრომოს. ფარდას ახდას დროს — ნაზოლეონი დგას თავისეური ზოხით მდლებზე, დანარჩენი უძრავად თავ-თავთან ადგაღლებს.

ი მ ე დ ი

წარსული წლების მწარე ცხოვრებაში წინ ამისას მუდრო დიდება, თუმცა მცირე ხნით, მანც-კი შუებით მხურეკუბლად გულს მუხუტებს!..

მწამს ჩემს ქვეყანას მოყენებას შუება, საამე და ნეტარება; დღეს რომ კემანს დაუძლევა, კვლავ ძალს მოაკრეფს, ზე წამდგება!...

დ. გაბრუაშვილი

ნაწყობ-ნაწყობი

... მხოლოდ წარღნა!

სწრაფად მიჰკრიან სიცოცხლის დღენი... ჩქარობს ღამით მიეცეს ყრუ დაღიწყებას დღისით ნაშობი შფოთი, ვარაში!.. სიბინძურება, საზოგადოებას, უნამუსობას ზედ აფარებენ შუასა ზეწარას!... ცდილობენ სწრაფად ბოროტების წაშლიონ კვალი. რათა მით სძებნონ სანეტარო თვის მომავალი!.. მაგრამ მოკლეა შვიი ზეწარი: კვალს არსად უჩანს თვისი საზღარი და დღისსინათლე აყროლებულ რუსს, ცხოვრებისა და მკაცრულს შავ სენით მოდებულს ტბიდან მომავალსა, კვლავ გვიჩვენებს... მარად ეჭოთქოთებთ... მოწამოლული სულით, სხეულით, შიგ ვეშვებით და ერთმანეთს წუმპეში ვაბრბობთ!.. ურცხვად ვაბრბობთ, ხარხარი ჩვენი, სხვისა დაღუბვის დროს გამოწვეული, ზეკასა სწვდება!.. ხარბად დევტაკე-ბივართ ურთიერთსა... აღარ ვინდობთ კაცნი კაცთა, ვართმევთ ერთმანეთს მიწას, წყალსა, ოქროს, ვერცხლს, თვალმარაგალიტსა—სულსა და გულსა... ნამუსით ვეპტობთ ჩარჩებივით; ენას, ერს, რწმენას, ლტოლვას ფულეზზე ვცვლით, და ასე ვკარგავთ კაცად კაცობას, გათასირებულ-მოწამოლული განცხრობისათვის..

ხანდისხან თუ უკუ-მიხედვით, განვლილ ცხოვრებას დაფუკვირდებით, შიში გვიტაცებს, სინიღისი გავეღვიძება და... ვითარც გიფი, ისე წუმპეში ვეურყულადღებთ!... ანკარა ნაკადულეები ჩუხჩუხით ჩამობრბიან თვალუწვდენტბაში, ხრიალ-ჩხრიალით შიგ ეშვებიან, სამეკრო-სასიცოცხლოდ ურთიერთს ებრძვიან და... ინთქმებიან ურთიერთში შეერთებულნი... ტბაკი ბინძური, ამყაყებული სწამოლავს ჰაერსა!..

ძალა არ შესწევთ ნაკადულეთა!... ძალა არ შესწევთ გადაახუნ მკვდარი ტბა!.. რღა ააშრობს შმობრბოდებულსა თვალუწვდენტბასა!.. ვინ შესცვლის ცხოვრებასა, ვინ განაახლებს ამ ჰაერსა?!

ნუ თმ მხოლოდ მსფლიო წარღნა!!!

გიორგი ფოცხოველი



ვუძღვნა მ-ს და ვ-ს

უკუღმობით დრომან ვაგრტყორცნათ შორსა და გამოავლოთ შშობელ მხარესა,— ვითარ ბულბული ვარდას მოსწყვიტონ, სიყრმით შეჩვეულ არე-მარესა!

მავრამ ჩვენ მაინც არ დაგივიწყებთ, სულით ჩვენთან ხართ, სევდით მწუხარე, ვით ბნელ ღამეში გზისა მწევები შუტ-მოელვარე და ბადრი მთვარე!...

გ. შიხიანცი



მეგრელის მასბინძოლობა

(მსტარა სტენა)

გურული ღამის გასათევად კარზე მიადგა მეგრელს,

— ეი, მასბინძელო! არაინ ხართ სახლში? ძახილზე პატარა მეგრელის ძღაბო გამოვიდა...

— მუთრ პატენის?!

— გამარჯობა ბიძი! მამაშენი სახლშია?

— ვარი პატენის!

— მამაშენი თუ არაა—დედაშენს უთხარი, პროკოფიე კვანჭანტირაძე არის და, თუ შეიძლება, ამაღამ შენ კონახში გამითიე და უთენია აღარ შეგაწუხებ-თქვა.

პატარა ქალი თავის ქნვეით შევიდა სახლში, იმწამსვე გამობრუნდა და დარცხენილიმა გად-მოსძახა ნახევიარ გაღებულ კარებიდან:

— ვარიას გიწუმ პატენის!

— დედავ, წახედი, ვარიას თუ შემიწვამთ, მავას რაღა ჯობია, — და მიადგა ოდას...

— ვარიას გიწუმ პატენი, ვარიას,—გამოს-ძახა პატარა ქალმა და მიიხურა კარები..

ამ ოჯახ-დაქტეულმა, ვარიას გიწვამო და ზე ცხვირზე არ მელიქა კარი! ქირმა შენც წავიღოს და შენი შემწვარი ვარიეც...

ვ. ურუშაძე



* * *
პოი, ჩანგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგნით მსმუნოდეს!
ნ. ბარათაშვილი

ჩამოვკარ ჩანგურს... ათროლდა სიმი, სამგლოვიარო გაისმა პანგი. ოპ, ტურფავ! სწორედ შენმა ცრემლებმა მოაჯადოვეს ეს ჩემი ჩანგი.

ახლა სადა ხარ, რომელსა მხარეს, ნუგეშ რად არ მცემ ტანჯულს, მწუხარეს, და, ნუ თუ მართლა სიცოცხლითვე მკვდარს, მარტოდ მისტუმრებ შეგ-ბნელ სამარეს?..

ვრცელი უდაბნო... ცრემლის ხეობა... ეღგევიარ, მიკენესი ობოლი სული, გულს კაეშანმა დაისადგურა, ჩანგიც ქეთინებს აცრემლებული.

ხარობს ბუნება, ვალადებული, ცის კაბადონზე მთვარე კაშკაშებს, ვარსკვლავთა ხომლი ნელად ციმციმებს, მე-კი წყვილიდი მიშურავს თვალებს.

მარტოდ-მარტო ვარ, შენზე მლოცველი, ჩემ წინ განრთხულა შვიი ჩამარე, და მოკლულ გულის მწარე ჩივილსა კენესით ბანს აძლევს სამშობლო მხარე!

ტ. ი. ტ ბ—ძე

ჩვენი მსახიობნი

ინოო შიოს ასული დავითაშვილი, ქართული სცენის ნიჟერი მსახიობი ქალი, პირველად თბილისის სცენაზე გამოვიდა ამ შეიღირვა წლის წინანდ, ვ. გუნიათ თაოსნობით გამართულ გამოსაცდელ წარმოდგენაში და მთელი სეზონი ბეჯითად მუშაობდა ჩვენის მგონის აკაკის რეჟისორობით. შემდეგ ქუთაისის დასში გადავიდა, სადაც მესაღინებოდა ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით და სამუდამოდ იქვე დარჩა.

მისი როლებია როზა ბერნდტი, მერცია, პატარა-კახი, მონნა-ფანნა, გაიანე, ქეთევან წამებული, პოლია (ცხოვრების გარეშე) და მრ. სხ. ნ. დ. შარშან მთელის წლით მოსკოვში იყო იქაურ სასცენო ხელოვნების გასაცნობად. ნ. დ. ახალგაზრდაა და შრომის მოყვარული.



1885 წ.

ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე

25 წლას სსსენიო მოღვაწეობის გამა



1910 წ.

ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე (25 წ. სსსენიო მოღვაწეობის გამა). დაიბადა სოფ. აჭურ-ში, თელავის მაზრაში, ანერას 9, 1866 წ. შემდეგ აღსწერას ოჯახში. 1877 წ. დედამ ორბეძემ—ვაქტორი და დათაო (დ. აჭურელი, ცნობილი ვაჟი) თბილისში ჩამოიყვან და ინტენდანტის ოჯახში მიაბარა, რთა კონსერვატორის მოქმედებისთ. გამოცდას დროს ფრანგულში ჩაიჭრა და ძალა-უწყობრად თბილისის სოსიტატო ინსტიტუტთან არსებულ სმძქალაქო სსსწავლებლაში შევიდა. კურსის კვათავების შემდეგ 1881 წ. სუჟეკტოდ დააჭარა კეზამქა სოსიტატო ინსტიტუტში, და ჩარაიგეს ზნსისიერად. აქ ვაქტორმა თავისი სსსამოყნო სმთ და დეკლამაციით მსსწავლებლების უურადლებს მიაქცა: არც ერთი სსლიტერატურო დილა და ქართული წარმოდგენის არ გამართულა ინსტიტუტში, რომელმაც ვაქტორს არ მიაღღოს მისსწავლებლის. სმარად ქალის რთლსაც ასრულებდა. ერთსდ ვამ სსსწავლებლის დირექტორის კოლოიაჩის სისთავ, ნეთა დეგორთეთ სსწინობი ქალბო ვათამსოით!— დარექტორამ მოუგო: „რასსწერთა ქალბო, რთდესც შენ თეთით გმუქნის ქალის რთლი და სიღამსათაც არ ჩამოიყვარდებიო!“

ზსსისთისში მეთოფ ვ. გ. სმარად ქსწრებოდ ქართულ წარმოდგენებს 1883 წ. თატრთა გატანებულ მისსწავლეთა ზტარს წრემ თბილისის ერთ კურსო სსწლში (კთარბ ტკოიასის) დაიწყო წარმოდგენების მართავ, სდაც მამკველი აყო ვაქტორაინ. ზაფხულბობით-კი ჟურ ისეც მოაწვეუ, მსურავლუ მისსწავლეთის ადებდა ეოკველ ქართულ წარმოდგენაში, ქ. თელავს და მისი სსლი-მსსლი სოფლებში. სოერმადანვე გულში გავდიებულამ სსწენისდ-

ში ლტოლვილებამ თავისი გაიტანა და 1885 წ. დადს სსწენსე შესდგა ფენი. ა. ნებორეძემ, რომელსც დიდი თატრის ანტრებრზა ჰქონდა, დასში მიაწვა და აა ეს ოტდა-ნეთი წელიწადს სმშობლო სსწენსე მრთობის დაულდავად—**СРОМНО, ТИХО И НЕ РИЧУЯЩИ**,—რუსეთი სომ იტკეან. რამდენიმე სესობ. ნი ქ. ქეთათსივც მისსურბობდა. მისი რებრეტური მრავალეფერა. 1892 წელს ზარეკლად შესსრულა სეომან ლიონიძის რთლი „სმშობლო“—ში; თეთი განსეკნებულამ იღია ჭკუჭკავემ უდენა ვრცელი წერილი ზს. „იეკრა“—ში შემდეგვა სთათურთ: „ვაქტორ გამყრელიძე—სეომან ლიონიძის რთლში,“ რთმელმაც ქებით მთახსენია. იმავე წელს ითამაშ გელა („ზტარა კასი“), ამ წარმოდგენას დაესწრეს, სსეთა მორის. ურსოელი სტუმარი —ინგლისელი ოლივერ უარდრობი და ა. ი. სუმბათაშვილი, რომელიც ასე მოეწონათ მისი თამაში, რომ სსწენ მუშეთთან გაამოართეინეს, რის შემდეგაც უარდრობამ მდღობა გადაუსდა. ვ. გ.-ის მიერ გელას რთლის სუჟეკტოდ შესსრულდებს აგრევე მისსსწავლებლა იყო რუსულ ფურ. „Театръ и Искусство“-ში. სუჟეკტის რთლემან გელავლეს აგრევე: ოტა ჟობია— „და-მის“, სსხნა ზესა— „დღატი“, ელავს— „ებრავლები“, ოსამ— „ცხოვრების გარეშე“, დესურალი— „ზარი-სელი ბაბი“, ზემო, ზეტო— „რამბარელი“, გოჟუა— „რც განსსყს— ელარ ნსხე“, ვანი ფსრტაშეღლი— „სსხეშ“ და სს.

ქართული თეატრი

ვლ. ალიქსი.მეხსიშვილის ბენფისი

„შვი ბერი“, ტოლსტოის-მიერ ჩებოვის მოთხრობიდან ვადმოკეთებული დრამა— ხელოვნური ნაწარმოებია. მართალია, ვადკეთებულ ნაწარმოებს ზშირად აღარ რჩება ის სული და აზრი, რომელიც ავტორის პირვანდელ ნაწარმოებში ღრმად ჩაქსოვილია, მაგრამ წარსულ კვირის წარმოდგენილ დრამას „შავს ბერს“ ამ მხრივ ბევრი წუნი არ დაედება. ტიპები საკმაოდ შემუშავებულნი და დამთავრებულნი არიან: ერთის მხრივ სღვას იეგორ ზესოცკი—ჩვეულებრივი კაცი, საშუალო ადამიანი, რომლის არსებობს წვრილმანი, მეშხანური მისწრაფებანი ასულდგმულბს... ის ცხოვრობს, არსებობს, ქალიშვილს ტანის უღლის, შესტრფის; მსსე ზრუნავს და მის საქმროდ წარმოდგენილი

ჰყავს კაცი, რომელიც მისივე მსგავსად ჭკვიანი, ჯან-სალი და ჩვეულებრივი იქნება. არა ნაკლებ ქალიშვილისა უყვარს თავისი ბაღიც, რომელიც კარგს შემოსავალს იძლევა. ქალიშვილი და ბაღი, ბაღი და ქალიშვილი,—აი საზრუნავი საგანი, რომელზედაც დამოკიდებულია მისი ამ ქვეყნიური სიამოვნება.

სულ სხვაა ანდრე კოვრინი, რომელიც, ტანის ცოლად ირთავს და პესოცკის მყუდრო, მოდუნებულ ცხოვრებას შეუბრალებლად არღვევს. კოვრინს პესოცკის ოჯახთან საერთო მხოლოდ ნათესაური კავშირი აქვს. ის არა-ჩვეულებრივი ადამიანი და მსწავლელია, რომლის მაღალი აზრი და ფართო ბუნება ჩვეულებრივი ადამიან პესოცკისა და ტანისათვის გაუგებარია, მიუწოდომელი და ღირსი სიმულვილისა, საქვეყნოდ დაგმობისა.

კოვრინი ხანგრძლივმა მუშაობამ, რომლის დროსაც ის უმაღლესს, საკაცობრიო ქეშპირიტებასა და წარუშლელს უკვდავებას ეძებდა, ერთიან მოღალა, მისასუსტა და მისი უდიდესი სულის-კვეთება ჩვეულებრივ ადამიანისთვის მხოლოდ მისხარად ასადგები გახდა. მას აღარა ჰყავს ცალი, რომ „ფიჭირი ანდოს, გრძნობა გაუზიაროს“ და ამიტომ იგი თავის სულიერ ტრაგედიასა და წყველ საკაცობრიო კითხვებზე მხოლოდ თავის თავს ესაუბრება. უკვლევსთ, კოვრინის დაავადმყოფებულმა გონების წარმოდგენამ „შავი ბერი“ შექმნა, რომელიც თვით კოვრინია, მისი მეორე სულიერი არსება. ამიტომ, ჩვენის აზრით, მეოთხე მოქმედებაში, როდესაც კოვრინი სულს განუტევეს, აჩრდილის კვლავ გამოჩენა მეტია, რადგან ამ დროსა ფსიხოლოგურის დრამაა რაღაც სიმბოლური ეფექტი ეღება.

მობენევის ელ. ალ.-მესხიშვილი სრული განხორციელება იყო კოვრინისა. სამწუხარაა მხოლოდ, რომ ამ ქართული სცენი დამამშვენებელმა როლი თითქმის არც ერთხელ არ იცის.

ი. ივანიძე მშვენიერი იყო ივგორ პესოცკის როლში, რომელიც თავიდან ბოლომდე სრულის მოფიჭრებით ჩაატარა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მსახიობმა როლი მუდამ კარგად იცის ხოლმე, თუმცა ტიპების გაპროვინებაში ყოველთვის ვერ ეხედავთ, რომ მას ემუშავოს.

კარგი იყო აგრედვე მ. მდივანი ტანისა როლში და გ. იშნელი აჩრდილში. დანარჩენთ როლები არ გაუფუჭებიათ.

ქართული თარგმანი პიესისა, რომელიც ლ. მესხიშვილს ეკუთვნის, შესამჩნევად მძიკოკლებს.

თეატრში დიდძალი საზოგადოება იყო და მხურვალედაც მიიღო საყვარელი მობენევისი.
Ro-Ben.

ქ. მესხის ბენევისი. დღეს, პარასკევს, 26 თებერვალს, ჩვენის სცენის დამსახურებული მსახიობის ქ. მესხის საბენევისოდ წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა — „სლხის საკეკო“ გერცილისა და „სიკვდილი ნაზოლეონისა“, ორივე გრ. აბაკელიას-მიერ ნათარგმნი. „სიკვდილი ნაზოლეონისა“ ჩვენის ქურნალის ამავე ნომერში, დაბეჭდილი.

იმედი უნდა ექონიოთ, ქართველი საზოგადოება ამ წარმოდგენას არ გამოსტოვებს და დაესწრება, მით უმეტეს, რომ მობენევისე ნაპოლეონისა როლს შეუდარებლად ასრულებს ხოლმე.

ი. ივანიძისა და ნ. გვარამის ბენევისი.

მეორე წარმოდგენა დანიშნულია ხვალ—27 თებერვ. შაბათ საღამოს ახალგაზრდა მსახიობთა ი. ივანიძისა და ნ. გვარამის საბენევისოდ. წარმოდგენენ ლ. ანდრევის პიესას „დღეს ჩვენა ცხოვრებისა“. ყოველი მსახიობი, და ნამეტნავად ქართველი მსახიობი, ბენევისი ელის ზნეობრივ და ნივთიერ კმაყოფილების მისაღებად. ქართული თეატრის მოყვარული საზოგადოების ვალია, როგორის ხალისითაც დაესწრება ამ საბენევისო წარმოდგენას და ახალგაზრდა სცენის მუშაკთმით გაუორკეცებს სცენაზე მოღვაწეობის ხალისს.

უკანასკნელი—გამოსახთხოვარი წარმოდგენას გაიმართება კვირა საღამოს 28 თებერვ.

წარმოდგენილი იქნება ა. ი. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალიტი“. ეს წარმოდგენა, სხვათა შორის, იმიტია საყურადღებო, რომ სულემან-ხანის როლს შესრულებს ელ.

ალ.-მესხიშვილი, რომელიც ერთი უკეთესი შემსრულებელთაგანია ამ როლისა. ამ წარმოდგენით დასრულდება ამა 1909—1910 წ. სეზონი.



მემზობელთა სყენა

თათრული წარმოდგენა

ორშაბათს, 22 თებერ., ქართულ თეატრში თათრული სყენის მოყვარულებმა წარმოდგინეს **შილოერის „ყაჩაღები“**. ამალიას როლის ასრულებდა რუსი მსახიობი ქალი შატნოვისა, ფრანც მორიხისა—კაზარდინსკი, თათრული სყენის მოყვარული. წარმოდგენამ, რასაკვირველია, ვერ ჩაიარა ისე, როგორც სასურველი იყო, მაგრამ ფრიად სასიამოვნოა, რომ ჩვენ მუზობელ თათრებშიაც იღვიფებს სასყენო ხელოვნებისადმი ტრფიალი და ისეთ ავტორებსაც კი აცნობენ თათართა საზოგადოებას, როგორც შექსპირი, შილოერი და სხ. წარმოდგენას საზოგადოება შედარებით ნაკლები დაესწრო, უმეტესად მდბიო ხალხი და მოსწავლე ახალგაზრდობა. იყენენ თათრის ქალებიც, უჩადროდ, მოურიდებლად.

ამ სეზონში ეს მესხეთე თუ მეექვსე წარმოდგენა გამართეს თათრის სყენის მოყვარულებმა, ხალხი თანაგრძნობით ესწრობა წარმოდგენებს და პიესას გულდასმით ისმენს.

როგორც შევიტყუთ, სყენის მოყვარულთა ერთ ჯგუფს წესდება შეუდგენია და წარუდგენია კიდევ დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს.

სათეატრო აგეპი

მსახიობ-ქალთა მიცინი ბერლინიში

მოსკოვის გაზეთ „უტრო როსის“ ამა 18 თებერ. ნომერში მოთავსებულია შემდეგი დეპეშა ბერლინიდან, 17 თებერვლის თარიღით: „ფილარმონიის დიდს დარბაზში წუხელის მოხდა დიდებული მიტინგი მთელის გერმანიის მსახიობ-ქალთა. მსჯელობა ჰქონდათ თეატრის მოღვაწე ქალთა სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. მრავალმა მსახიობ-ქალმა აღნიშნა ის სამწუხარო და უღირსი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან სყენის მუშაკი ქალები: ორატორმა ქალებმა მკაცრად გააკიცხეს თეატრის პატრონ-ანტრეპრენიორები და საზოგადოება (ПУБЛИКА), რომელნიც დანაშავე არიან იმაში, რომ საზოგადოდ თეატრში გამეფებულია მეძვობა (პროსტიტუცია) და სყენაზედაც გზას იკაფავენ მეძვბი ქალები, როგორც

მსახიობნი. მიტინგმა შეიმუშავა რეზოლიუცია და მოითხოვა, რომ მთავრობამ საქირო დონისძიება მიიღოს. გამოსცეს კანონი, რომელიც ასე თუ ისე მოაწესრიგებს მსახიობ ქალთა და თეატრის პატრონ-ანტრეპრენიორთა ურთიერთობას, რაიცა მსახიობ ქალთა საშუალებას მისცემს ღირსეულად ატარონ შესაფერა სახელი პატიოსან დედაკაცისა და ფაქიზ-სათუთ ზნეობიანის დედისა. მთელი ბერლინის პრესის ყურადღება ამ მიტინგმა მიიქცია.“

SS თ. ი. შალიაპინი საზღვარგარეთიდან დაბრუნდება თუ არა მოსკოვს, ზაფხულს თავის მამულში დასვენებს და ხანდინან ვოლგაზე იმოგზაურებს, რისთვისაც საზღვარგარედ საკუთარ ორთელშიმარავ წავს იქნის.

SS საოპერეტო პრემიერთა ჯამაგირები „ერმიტაჟი“-ს თეატრის რეჟისორის ბრიანსკის სიტყვით: გიალცევა თეთო გამოსვლაში იღებს 2,000—2,200 მ. შევალთვისა და თამარა—350 მ. თეთოთული. პანტკოვსკი—300 მ. პოლინსკი და ბრიანსკი—1,500 მ. თეთოთული თვეში. მონახოვი—1,000 მ. მიხაილოვი—1.100 მ. კოშევსკი—800 მ. მდგომარე სეზონში ჯამაგირები ყველას თითქმის 25% შეუძლირებს.

SS კომისარუტეცკისა და ეპისკოპოსი გერმოგენი. სარატოვიდან გაზეთებს ატყობინებენ: აქ მოინდომეს პანაშვიდის გადახდა კომისარუტეცკაიას სულის მოსახსენებლად, მაგრამ ეპ. გერმოგენმა სამდღეოლოებას აუკრძალა. ეპ. გერმოგენი ტაშკენტის ადგილობრივ ადმინისტრაციას შეეკითხა, კ. ან მართმადიდებელი იყო თუ არა და უკანასკნელად როდის უხიარაო?

SS ეპისკოპოსი გერმოგენის მუქარა. „რეჩის“ სიტყვით, სარატოვის ეპ. გერმოგენმა ცკვლისაში სიტყვა წარმოსთქვა და წყველა-კრულით მოიხსენია „გარყენილი, უმსგავსი და ურწმუნო ინტელიგენცია“. დამსწრეთ ურჩია, თეატრში ნუ დაიარებთ, თორემ „დამნაშავეებს“ წყველა-კრულვას მიეცეთ და ეკლესიიდან გადაღვენიო.

SS ბერი—თეატრის წინააღმდეგა „ც. ვ.“ გადა მოგვეცემს შემდეგს: „გამოჩნდა ვინმე ბერი, რომელსაც აზრად მოსვლია თეატრის ალაგევა და გაუქმებაც კი. ეს ვახლავთ ვინმე ილიოდორი; იგი მოუწოდებს რუსეთის მტხოვრებთ: „ქეშარიტ რუსნო! ალაპყართ ხელი უწმინდურებისა და ყოვლად გათანსირების წინააღმდეგ, რომელსაც ბინად გაუხდია თეატრი.“ ალბათ დამდგარა დრო, რომ ადამ და ევა ახლად განდღეიან და ქვეყანა ისევ თავიდან დაიწყება.

SS დრამატულ ნაწარმოებთა სიკატევა. 1 თებერვალს უკანასკნელად შეიკრება კომისია, რომელსაც უნდა ამოერჩია ბიესა ა. ნ. ისტრატესკის სახელობის პრემიით დასაჯილოებლდ. კომისიამ ვარჩია 101 პიესა



და არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ღირსი აღნიშნულ ბედნიერებისა. კომისიაში იყვნენ: ლ. ნ. ანდრეევი, ვ. ვ. რიშკოვი, გენდრიჩი, მირანოვი, აპოლონსკი და სხვანი. ამბობენ, ეს კომისია 1910 წ. დამლევს კიდევ შეიკრიბება ახალი პიესების განსახილველად.

◆ ვახუშტის სიტყვით კ. ა. მარჯანიშვილი რეჟისორად მიუწვევიათ მოსკოვის საზოგადოება თეატრში, ხოლო „გოლოს მოსკოვს“ ჩხავის თურმე, ვგ მხოლოდ იმიტომამო, რომ რეჟისორობა ისწავლოსო, რეჟისორად კი არ მოუწვევიათო.

◆ ლობანის თეატრში რეპერტუიის დროს თავი მოკლა მსახიობმა ტრეპიანმა.

◆ მზრუნველს განკარგულება. ქალაქ კიევის სასწავლებელთა მზრუნველს მოწაფეებისათვის აუკრძალავს იუშკევიჩის „კომედია ბრაკა“-ზე დასწრება.

◆ ლევ. მეტრეველს დაუშვარება ახალი დრამატული თხზულება „ლანდია“.

◆ კ. ანდრონიკაშვილს დაუწერია ახალი თრეპიანული ზეუსი „ამირანი“.

◆ ვ. ვ. გედევანოვის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე გაიმართება 2 მაისს.

◆ ახალი დრამატული საზოგადოება. პაქიში აარსებენ დრამატულ საზოგადოებას, რომელადც დრო და დრო გამართავს წარმოდგენებს ქართულ და სომხურ ენაზე. ამ საქმის შესახებ უკვე ითაობარეს. საზოგადოებას ბლამად თანამგრძობა იქნება უხმდესა.

◆ ქ. შორში აშენებენ თეატრს.

◆ კომისარტევსკაია დაკრძალულ იქმნა ზუტეროვსკაი დაქსნანდრ-ნეკუელის დაფარვაში. წარმოითქვა სიტყვებიც: სხვათა შორის სიტყვა წარმოსთქვა დავიდოვმა, იავორსკაიამ, სხ. სთათ. წყობა გუჟიგობა სტუდენტმა და სხ.

უცხოეთის თეატრი
იდმონდ როსტონის ახალი პიესა
Chante Cler-
(„სინათლის მოაქუნა მამალა“)

როგორც ებრავლები თავიანთ მესიას ელოდებიან, ისევე ფრანგები და მეტადრე პარიზელები მოუთმენლად ელოდენ ზემოხსენებულ პიესის დადგმას და ისიც იმ დროს, როდესაც მდ. სენამ მთელი პარიზი და მისი მიდამოები წალეკა, როითც დიდი ზარალი მიყენა პარიზს. აი სწორედ ამ დროს დასდგეს Cyrano de Bergerac-ის ავტორის ახალი პიესა.

ამ პიესის დადგინების მიზეზი მრავალია დაახლოვებით უფიქროსადი ელოდა პარიზი ამ პიესის წარმოდგენას და საფრანგეთის გამოჩენილი არტისტი კოკლეფი უფროსი ისევ ვარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო მამლის რო-

ლის შესრულებას. და ამა, ამ ახლო წარსულში ითამაშეს ეს პიესა პარიზის გამოჩენილმა არტისტებმა La Porte Saint Martin თეატრში, რომელიც სასე იყო არისტოკრატითი, ბურჟუაზიითა და, საზოგადოდ, რჩეულ კლასითა და მწიგნობარ-მხატვართა წარმომადგენლებით. წარმოდგენილია ის გარემოება, რომ პირველმა წარმოდგენამ 78,000 ფრანკი ნაღდი მოგება მისცა ანტიტეატრიორს.

პარიზის ვახუშები, საიდანაც ჩვენ ვსარგებლობთ ამ წერილის შესადგენად, ორ ბანაკად გაიყვნენ გამოჩენენ როსტონისტი და მისი წინააღმდეგნი.

პირველნი უსდგებიან უფრო კონსერვატორულ ელემენტებისაგან, რომელთაც მოსწონთ როსტონის ახალი პიესა, მეტადრე იმიტომ, რომ იგი ძლიერის სიმბოლიზშითაა გამსჭვალული.

მეორე ნაწილი-კი უკიდურეს კრიტიკას უყუთებს ამ პიესას. აი რას ამბობს მემარცხენე ჟორჟის ორგანო „L'Humanite“: „არავის შეუძლიან ფორთოხალეები ხელში ისე ოსტატურად ათამაშოს, როგორც როსტონი თამაშობს სიტყვებით. ყველა ეს თვალთმაქცობა, ფანტაზია, ეს უფრო ვირტოულობა, ვიდრე ლიტერატურა. ამ პიესაში სიმბოლიზმის ნახვა უნდოდათ, მაგრამ ეს სიტყვა და, როსტონს რომ მოენდომებინა უკეთესის არჩევა შეეძლოა.“

ფრანგული ფეხველეს ვახუთი „Tempt“-ი კი იძახის: „გულწრფელად ვლიარბებ, რომ თეატრიდან მე ცოტად აღშფოთებული გამოველი, რადგანაც ერთ მხრივ ჩემზე დიდი გავლენა იქონია პიესის უდიდესმა და ლამაზმა ზოგიერთა ადგომებმა და მეორე მხრით-კი სულდაცემულად ვიგრძენი თავი პიესის ნაკულევენებათა გამო. მეორე დღეს მოვედი და რაც არ მომწონებოდა, — უფრო შემავარდა და შევიყვარე ეს, რაც „შემეყარებოდა“. ჩვენ მოვიყვანეთ ამ ორ ვახუთიდან ციტატები, რადგანაც თითოეული მათგანი განსაკუთრებული მიმართულებისაა — კონსერვატიული და სოციალისტური.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს პიესა, რა არის მისი სიუჟეტი. Artemius

მეცდომის გასწორება

გასულ კვირას მე-8-ე №-ში, ლევ. მეტრეველის წერილში „ერთი გულიდან ამონათქვამი“ შემდეგი კორექტორული შეცდომებია: გვერ. 6, პირველ სვეტ-ში ზევ. ქვედან: 9 სტრ. „ქვეყნის ნათლად“, უნდა იყოს: ქვეყნის პატრონად... ქვედ. 18 სტრ. არის — „თვალწინ ღვთაებას“. უნდა იყოს — თავის ღვთაებას. მეორე სვეტ. ზევ. 6 სტრ. დაბეჭდ. „ნათლის მესველი“ უნდა იყოს: „მადლის მესველი“.

რედაქცია-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

მიიღება განცხადებანი უფრნალში დასაბეჭდათ



დროება ყოველდღიური სალიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კაბ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამაერ. სახ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში: ის. კვიციანიძესთან, ხონში: გ. მეტეხესთან, გორში: ს. შველიძესთან, ქიათურაში: ს. ტარუაშვილთან. ფული გამოიგზავნოს თიფლის, რედ. „დროება“, П. С. Агладзе. რედაქ.-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე**.

ახალი სსივი ყოველ-დღიური სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარედ 14 მ. ნახევარ წლით 7 მ. სამი თვით თბილისში 2 მ. 20 კ., თბილის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თბილის გარედ 90 კ. ადრესი: რუსის ქ., № 3, ზემო სარიული. თიფლის ტიპ. „შრომა“ კალ. კონ. ცუღაძე.

НОВАЯ РЪЧЬ ежедневная общественно-политическая и лигатурная газета; подписная плата для городских на год 7 р. на полгода 4 р. для иногородских 8 " 5 " помѣсячно 75 к. адресъ: Тифлисъ, Дворцовая д. Груз. Дворян. ред. газ. „Новая Рѣчь“. Редакт.-Издат. П. А. Готуа.

1910 წ. **გამომცემლობის სურათებიანი უფრნალი**



წლიურად 5 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღ. რე. სახ. კანტ., ი. იმედაშვილთან. ფოსტის ადრესი: თიფლის, რედ. „Театри და Цховреба“ იოს. ჯაჩ. იმედაშვილი.

Продолжается подписка на 1910 года на **„ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“** 14 годъ изданія. Подписная цѣна на годъ 7 рублей. Главная контора—СПБ., Вознесенскій, 4. Тел. 16-69. Для телеграммъ: Петербургъ. Театръ Искусство. Допускается расрочка 3 р. при подпискѣ, 2 р.—къ 1 апрѣля и 2 р. къ 1 юня. За границу—10 р. Отдѣльное ЛММ по 20 коп. Ред. **О. Р. ВУГЕЛЬ**. Изд. **З. В. ТИМОФѢВА** (Холмская).

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ „НОВАЯ РѢЧЬ“ И. Д. Кикнадзе. Въ магазинѣ имѣются всѣ новыя выходящія книги. Магазинъ принимаетъ на себя составленіе всевозможныхъ библиотекъ: нѣбличныхъ, общественныхъ, фабричныхъ, школьных дѣтскихъ и т. д. Иногородныя требованія исполняются въ двухъ дневный срокъ. Тифлисъ, Головинскій пр. д. Мирзоева № 22.

6-й годъ изданія „НОВАЯ НИВА“ Единст. общед. журналъ, открыта подписка на 1910 годъ; подписчики получаютъ: 52 №№ журнала, 52 книги, 52 приложенія, а именно: 12 книгъ «новости литературы»; 12 книгъ полнаго собранія сочиненій П. С. Тургенева. 12 книгъ «Избранныя произведенія» Некрасова, Надсона, Пушкина, Лермонтова, гр. Л. Толстого, гр. А. Толстова. 12 книгъ: «всемірная библиотечка»; 4 книги самоучители: нѣмецкаго и французскаго языка, самоучитель борьбы и фехтованія, самоучитель танцевъ и музыки. 52 фотогравюры роскошный альбомъ въ золотомъ переплетѣ, послѣдней парижской выставки «салонъ» исполненный по спеціальному заказу редакціи въ Лейпцигѣ. Календарь на 1910 годъ исполненный въ краскахъ. Подписная цѣна на журналъ со всѣми приложеніями 5 р. съ доставкой и пересылкой по всѣмъ городамъ 6 р. за границу 9 р. допускается расрочка. Подписка принимается въ редакціи «НОВАЯ НИВА» СПБ., Невскій 76. Издатель-редакторъ П. А. КУРИЛОВЪ.

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.